

შეთანხმებულია:
სსიპ გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორი
ნიკოლოზ ჩიხრაძე



„ 03 „ აპრილი --- 2015 წ.

განხილულია და დამტკიცებულია:
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ
სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №4
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
ლევან ჯაფარიძე

„ 03 „ აპრილი --- 2015 წ.

**სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და
კომპლექსური მექანიზაციის განყოფილების
დებულება**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში "ინსტიტუტი") მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილება (შემდგომში "განყოფილება") წარმოადგენს ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულს და იმყოფება მის უშუალო დაქვემდებარებაში.

მუხლი 2.

1. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ინსტიტუტის წესდებით და ამ დებულებით.
2. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის ადმინისტრაციის წინაშე.

თავი II. განყოფილების მიზნები და ამოცანები

მუხლი 3.

1. განყოფილების საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.

2. განყოფილება, საქართველოს კანონმდებლობით და ინსტიტუტის წესდების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს კომერციული (ეკონომიკური) საქმიანობა, რომელიც ემსახურება ინსტიტუტის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და ატარებს დამხმარე ხასიათს.

3. განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს ინსტიტუტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

თავი III განყოფილების მართვა

მუხლი 4.

1. განყოფილების უფროსი:

ა) განყოფილების მართვას ახორციელებს განყოფილების უფროსი;

ბ) განყოფილების უფროსს ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს;

გ) განყოფილების უფროსი საერთო ხელმძღვანელობას უწევს და წარმართავს მისდამი რწმუნებული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას დებულების შესაბამისად და პასუხს აგებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

დ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით განყოფილებაზე განპიროვნებულ სამუშაოებს;

ე) უზრუნველყოფს განყოფილების თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას;

ვ) ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;

ზ) პასუხისმგებელია ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული გეგმისა და დავალების შესრულებაზე;

თ) პასუხისმგებელია განყოფილების მატერიალური ფასეულობის, შრომის უსაფრთხოებისა და დისციპლინის დაცვაზე;

ი) ითანხმებს განყოფილების თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს;

კ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას;

ლ) წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს განყოფილების ბიუჯეტის პროექტს;

მ) კონტროლს უწევს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობას;

ნ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების შემუშავებას და წარდგენას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად;

ო) ორგანიზებას უწევს განყოფილების სამეცნიერო სამუშაოების ჩართვას სახელმწიფო ან საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებულ დაფინანსებაში.

პ) განსაზღვრავს განყოფილების მოთხოვნილებას მატერიალურ და ფინანსურ რესურსებში, ორგანიზებას უწევს შესაბამისი განაცხადების მომზადებასა და წარდგენას დადგენილი წესის მიხედვით;

ჟ) წარმოადგენს წინადადებებს განყოფილების თანამშრომელთა წახალისების ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე;

რ) ორგანიზებას უწევს და პასუხს აგებს სხვა ორგანიზაციებთან სტრუქტურული ერთეულის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე, უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ინსტიტუტის ვალდებულებების შესრულებას;

ს) ხელმძღვანელობს განყოფილებაში ჩატარებულ სემინარებს.

2. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი ლაბორატორიის გამგე განყოფილების უფროსის დავალებით.

მუხლი 5.

1. განყოფილების სემინარულ მუშაობას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.

2. სემინარული მუშაობა ძირითადად ითვალისწინებს განყოფილების სამეცნიერო მიმართულებებში არსებული აქტუალური პრობლემების განხილვას, მათი გადაჭრისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების ანალიზს, მათი სამეცნიერო დონის შესწავლას.

3. სემინარებზე განიხილება როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად მომზადებული წინადადებები და პროექტები.

4. სემინარული მუშაობა აისახება სათანადო ოქმში, რომელსაც აფორმებს ამ მიზნით განყოფილების უფროსის მიერ გამოყოფილი თანამშრომელი და ინახება განყოფილებაში.

თავი IV. განყოფილების სტრუქტურა

მუხლი 6.

განყოფილების სტრუქტურული ერთეულებია:

ა) მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია;

ბ) საბადოთა დამუშავების ლაბორატორია;

გ) კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორია.

მუხლი 7.

1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია არის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური და

გამოყენებითი კვლევების შესრულებას ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.

2. ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

ა) სამთო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური, კომუნალური, სპეციალური და სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და რეკონსტრუქციის სრულყოფა, გვირაბების საიმედო და ეკონომიური გაყვანის ტექნოლოგიების და სამაგრი კონსტრუქციების შექმნა;

ბ) გვირაბების და სხვა მიწისქვეშა ნაგებობების ირგვლივ ქანების მასივის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლა და შეფასების მეთოდების სრულყოფა;

გ) მიწისქვეშა ნაგებობების სტატიკურ, რეოლოგიურ და დინამიკურ დატვირთვებზე ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების მეთოდების, მათი კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკური სახელმძღვანელოების შექმნა, მათი გამოყენება კონკრეტულ პროექტებში.

მუხლი 8.

1. საბადოთა დამუშავების ლაბორატორია (შემდგომში „ლაბორატორია“) არის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესრულებას ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.

2. ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

ა) ფენობრივ და ძარღვულ საბადოთა გახსნისა და მომზადების დაპროექტების მეთოდების სრულყოფა;

ბ) რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ნახშირის სქელი ფენების ღრმა ჰორიზონტების დამუშავების ტექნოლოგიების კვლევა – სრულყოფა;

გ) მანგანუმის საბადოების კომპლექსური ათვისების მეთოდების დამუშავება;

დ) ღია სამთო სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფა;

ე) კარიერის ფერდების მდგრადობის კვლევა;

ვ) სამთო მომპოვებელი მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემები.

მუხლი 9.

1. კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორია (შემდგომში „ლაბორატორია“) არის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესრულებას ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.

2. ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

2.1. მილსადენი ტრანსპორტი:

- ა) მილსადენებით ჰიდროტრანსპორტირების სისტემების გარდამავალი რეჟიმების, არასტაციონალური პროცესების შესწავლა და ჰიდრავლიკური დარტყმებისაგან დამცავი ეფექტური საშუალებებისა და ხერხების დამუშავება;
- ბ) მილსადენებისა და მოწყობილობების ჰიდროაბრაზიული ცვეთის შესწავლა და მისი შესამცირებელი ეფექტური ხერხებისა და საშუალებების დამუშავება;
- გ) ჰიდრონარევების შორ მანძილებზე ტრანსპორტირებისათვის საჭირო მაღალი წნევის და ცვეთამედეგი დგუშიანი ტუმბოების კვლევა;
- დ) სამთო და მრეწველობის ობიექტების წყალმომარაგების და წყალამოდვრის სისტემების გაანგარიშების და დაპროექტების პრობლემების შესწავლა;
- ე) მილსადენებისა და მოწყობილობების მდგომარეობის (ცვეთის კუთხით) ტექნიკური დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა;
- ვ) ჰიდროსატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება;
- ზ) ქვანახშირის შახტებში ჰიდრავლიკური ამოვსების და პროფილაქტიკური დაღამვის პრობლემატიკა.

2.2. საბაგირო გზები:

- ა) ბაგირდეროვანი ლითონკონსტრუქციების დისკრეტული მოდელის საფუძველზე გაანგარიშების და ექსპერტიზის მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება;
- ბ) საბაგირო გზების და ბაგირთა სისტემების უსაფრთხოების ანალიზი და ექსპერტიზა;
- გ) საბაგირო გზების ტიპური კვანძების კვლევა, გაანგარიშება და დაპროექტება თანამედროვე პროგრამული სოფტების გამოყენებით.

მუხლი 10.

1. ლაბორატორიის მართვას ახორციელებს ლაბორატორიის გამგე.
2. ლაბორატორიის გამგეს ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს.
3. ლაბორატორიის გამგე:
 - ა) ახორციელებს ლაბორატორიის სამეცნიერო-საორგანიზაციო ხელმძღვანელობას;
 - ბ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატიური გეგმების შემუშავებას, შესაბამისი ანგარიშების შედგენას და წარდგენას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად;
 - გ) პერსონალურად აგებს პასუხს ლაბორატორიაში ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევითი უსაფრთხოებისა და გამოყენებითი სამუშაოების დონეზე და შესრულების ვადებზე, ლაბორატორიაში შრომითი დისციპლინის დაცვაზე;

- დ) ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სტრუქტურულ ერთეულზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობებზე;
 - ე) ხელმძღვანელობს ლაბორატორიაში ჩატარებულ სემინარებს.
 - ვ) ასრულებს ინსტიტუტის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე განპირობებულ სამუშაოებს;
 - ზ) ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
 - თ) პასუხისმგებელია ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული გეგმისა და დავალების შესრულებაზე;
 - ი) პასუხისმგებელია ლაბორატორიიდან ინსტიტუტის სახელით გასულ ოფიციალურ დოკუმენტაციაზე.
4. ლაბორატორიის გამგის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს ლაბორატორიის ერთ-ერთი მეცნიერი თანამშრომელი ლაბორატორიის გამგის დავალებით.

მუხლი 11.

1. ლაბორატორიის მთავარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლები ამზადებენ ან აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ფონდებში წარსადგენი პროექტების შედგენაში; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხიდან შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში.
2. ლაბორატორიის მეცნიერი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სემინარულ მუშაობაში, სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.
3. ლაბორატორიის ინჟინერი მონაწილეობს ლაბორატორიის გეგმით, დავალებით და სხვა მიზნით შესრულებულ სამუშაოს განხორციელებაში შემსრულებლის და შემსრულებლის დამხმარის სტატუსით.
4. ლაბორატორიის ტექნიკოსი მონაწილეობს ლაბორატორიის გეგმით, დავალებით და სხვა მიზნით შესრულებულ სამუშაოს განხორციელებაში შემსრულებლის დამხმარის სტატუსით.

მუხლი 12.

1. ლაბორატორიის სემინარულ მუშაობას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის გამგე.
2. სემინარული მუშაობა ძირითადად ითვალისწინებს ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებებში არსებული აქტუალური პრობლემების განხილვას, მათი გადაჭრისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების ანალიზს, მათი სამეცნიერო დონის შესწავლას.

3. სემინარებზე განიხილება როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად მომზადებული წინადადებები და პროექტები.
4. სემინარული მუშაობა აისახება სათანადო ოქმში, რომელსაც აფორმებს ამ მიზნით ლაბორატორიის გამგის მიერ გამოყოფილი თანამშრომელი და ინახება ლაბორატორიაში.

თავი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13.

1. განყოფილების დებულებას ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.
2. განყოფილების დებულების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.
3. ამ დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება ინსტიტუტის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილების დებულება (განხილულია და დამტკიცებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №9, 4 აპრილი 2012 წ.).